جمعية خدمة المحتوى الإسلامي باللغات

ضيوف الرحمن
hajjumrh.com

მოკლე გზამკვლევი შუამავლის მეჩეთის მონახულების წესები და მისი დადგენილებები

Partners in Implementation

This publication may be printed and disseminated by any means provided that the source is mentioned and no change is made to the text.

Tel : +966 50 244 7000
info@islamiccontent.org
Riyadh 13245-2836
www.islamiccontent.org

ضيوف الرحمن
hajjumrh.com

ქება-დიდება ალლაჰს, სამყაროთა ღმერთს, ლოცვა და მშვიდობა ჩვენ შუამავალს, მის ოჯახს და ყველა მის მეგობარს.

ამის შემდეგ:

ეს არის მოკლე ნაშრომი შუამავლის მეჩეთის მონახულების წესებზე და მის დადგენილებებზე, შევეცადეთ მასში განგვემარტა მომნახულებლისთვის ის ძირითადი წესები, რაც მას სჭირდება შუამავლის მეჩეთის მონახულების დროს.

ალლაჰს ვთხოვთ, რომ ეს ნაშრომი დაადგინოს წრფელად მისი კმაყოფილებისთვის, და რომ სასარგებლო გახადოს ზოგადად ყველა მუსლიმისთვის.

ისლამური კონტენტის სხვადასხვა ენაზე გავრცელების ასოციაციის სამეცნიერო კომიტეტი

მოკლე გზამკვლევი შუამავლის მეჩეთის მონახულების წესები და მისი დადგენილებები

1. შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მეჩეთის მონახულება წარმოადგენს სუნნას (სასურველია), მას არ გააჩნია კონკრეტული დადგენილი დრო, ის არ შედის ჰაჯობის საქმეებში, არ არიან ჰაჯები ვალდებულნი - კაცები ან ქალები - მოინახულონ ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საფლავი და არც ბაყი'ას სასაფლაო.

2. არ შეიძლება ექსკურსიების და მგზავრობების მოწყობა შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სასაფლაოს მონახულების მიზნით, რადგან მგზავრობა ღვთისმსახურების მიზნით არ შეიძლება შესრულდეს საფლავის მონახულებისთვის, არამედ, მხოლოდ სამი მეჩეთის მონახულების მიზნითაა დასაშვები გამგზავრება, **შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:** «არ იმოგზაუროთ გარდა სამი მეჩეთის მოსანახულებლად: ამ მეჩეთის (შუამავლის მეჩეთის), ნაკრძალი მეჩეთის (მასჯიდი ჰარამი) და ალ-აყსას მეჩეთის». გადმოსცა ალ-ბუხარიმ (١١٨٩) და მუსლიმმა (٨٢٧), აქ მოცემულია მისლიმის ვერსია. ამგვარად, ქალაქ მედინიდან შორს მცხოვრებს არ აქვს უფლება იმოგზაუროს საფლავის მონახულების მიზნით, თუმცა მას შეუძლია იმოგზაუროს ძვირფასი შუამავლის მეჩეთის მონახულების განზრახვით, როცა მოინახულებს მეჩეთს, ასევე მოინახულებს შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და მისი საჰაბების სასაფლაოებს და შუამავლის მეჩეთის მონახულებაში მისი სასაფლაოს მონახულებაც შედის (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას).

3 როცა ადამიანი შევა შუამავლის მეჩეთში სასურველია პირველი მარჯვენა ფეხით შევიდეს და შესვლის დროს წარმოთქვას: «ღმერთო, გახსენი ჩემთვის შენი წყალობის კარები»(ალლაჰუმმა ფთაჰ ლიი აბვაბა რაჰმათიქ), ასევე შეუძლია გაიმეოროს ეს ვედრება სხვა მეჩეთებში შესვლისას.

4 შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მეჩეთში შესვლისას კონკრეტული ვედრება არ არსებობს.

5 შემდეგ შეასრულებს ორ მუხლ მისასალმებელ ლოცვას (თაჰიათულ მასჯიდ).

6 თუ დრო არ მიეკუთვნება იმ აკრძალულ პერიოდებს, როცა ლოცვა არ შეიძლება, ადამიანს შეუძლია ალასრულოს დამატებითი ნაფილის ლოცვები — რამდენიც სურს, ორ-ორ რაქაათად. **ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:** «ლოცვა ჩემს ამ მეჩეთში უკეთესია, ვიდრე ათასი ლოცვა სხვა მეჩეთებში, გარდა აკრძალული მეჩეთისა [მექაში]». გადმოსცა ალ-ბუხარიმ (1190) და მუსლიმმა (1394).

7 სასურველია ლოცვას შეეცადოს არ'რავდაში - ეს არის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მიმბარსა და ოთახს შორის ადგილი - თუ შეძლებს იქ ლოცვას: **შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჩემს სახლსა და ჩემს მინბარს შორის არის ბაღი სამოთხის ბაღებიდან».** გადმოსცა ალ-ბუხარიმ (1195) და მუსლიმმა (1390). და თუ ვერ მოახერხებს იქ ლოცვას, მაშინ ილოცებს მეჩეთის ნებისმიერ ადგილას. ეს არ ეხება ჯგუფურ ლოცვას, ჯგუფური ლოცვის დროს მან უნდა შეეცადოს გაჩერდეს პირველ მწკრივში, რომელიც იმამის უკანაა; ზოგადად გადმოცემული მტკიცებულებების მიხედვით.

8 თუ ადამიანი მოისურვებს, რომ მოინახულოს მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და მისი ორი მეგობარის სასაფლაოები:

A.მას მართებს, რომ დადგეს მოწიწებითა და მოკრძალებით მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საფლავთან და ჩუმად მიესალმოს მას, თქვას: «ასსალამუ 'ალაიქა იაა რასუულულლაჰ ვა რაჰმათულლაჰი ვა ბარაქათუჰ» — მშვიდობა შენ, ო ალლაჰის მოციქულო, ალლაჰის წყალობა და კურთხევა. თუ კი დაამატებს შემდეგს: **«ვუმოწმებ, რომ შენ ხარ ალლაჰის ჭეშმარიტი მოციქული, რომ გადმოეცი გზავნილი, შეასრულე შენზე დაკისრებული ამანათი, ალლაჰის გზაზე იბრძოლე ისე, როგორც ეს სჭირდებოდა, გულწრფელად განაგებდი თემს. ალლაჰმა მოგაგოს შენი თემის სახელით საუკეთესო ჯილდო, რომელიც კი ოდესმე მიუცია მას რომელიმე წინასწარმეტყველისთვის თავისი თემის გამო»** — ამაში არ არის არანაირი პრობლემა.

B.შემდეგ ცოტა მარჯვნივ გადაინაცვლებს და მიესალმება აბუ ბაქრ ა'სიდდიყს (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი).

C.შემდეგ კიდევ გადაინაცვლებს ცოტა მარჯვნივ და მიესალმება უმარ იბნ ალ-ხატტაბს. იბნ უმარი (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) როცა მიესალმებოდა ალლაჰის შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და მის ორ მეგობარს (აბუ ბაქრს და უმარს) ძირითადად შემდეგ სიტყვებზე მეტს არ ამბობდა: «მშვიდობა შენ, ო ალლაჰის შუამავალო, მშვიდობა შენ, ო აბუ ბაქრ, და მშვიდობა შენ, ო მამაჩემო», — შემდეგ მიდიოდა.

D.არ არის მიზანშეწონილი დიდხანს გაჩერება ან ვედრება ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და მისი ორი მეგობარის საფლავებთან, იმამ მალიქი ამას მოუწონარად მიიჩნევდა და თქვა: «ეს არის სიახლე, რომელიც არ გაუკეთებიათ მართმორწმუნე წინაპრებს, ამ თემის მომდევნო თაობები ვერ მიაღწევენ წარმატებას სხვაგვარად, თუ არა იმით, რითაც მიაღწიეს მისმა პირველმა თაობებმა».

E.რაც შეეხება იმას, რასაც ზოგიერთი მლოცველი აკეთებს — რაც მოიცავს ხმამაღლა ლაპარაკს მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საფლავთან და დიდხანს დგომას იქ — ეს ეწინააღმდეგება შარიათის დადგენილ ნორმებს. უზენაესმა ალლაჰმა თქვა:

(يا أيها الذين آمنوا لا ترفعوا أصواتكم فوق صوت النبي ولا تجهروا له بالقول كجهر بعضكم لبعض أن تحبط أعمالكم وأنتم لا تشعرون ، إن الذين يغضون أصواتهم عند رسول الله أولئك الذين امتحن الله قلوبهم للتقوى لهم مغفرة وأجر عظيم*إن الذين يغضون أصواتهم عند رسول الله أولئك الذين امتحن الله قلوبهم للتقوى لهم مغفرة وأجر عظيم)

{ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ არ აუწიოთ ხმას შუამავლის ხმაზე მაღლა და არ მიმართოთ მას ისე, როგორც ერთმანეთს მიმართავთ, რათა ფუჭად არ იქცეს თქვენი საქმეები და ვერც გრძნობდეთ თქვენ* ჭეშმარიტად, რომელნიც იმდაბლებენ ხმას ალლაჰის შუამავალთან, ეგენი არიან, რომელთა გულებიც გამოსცადა ალლაჰმა ღვთისმოშიშობისთვის, მათთვისაა მიტევება და უდიდესი ჯილდო} [ალ-ჰუჯურაათ: 3-2].

F. ამასთან, შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საფლავთან დიდი ხნით დგომა და მასზე ბევრჯერ მისალმება გამოიწვევს ადგილზე ხალხმრავლობას, გადატვირთულობას და ხმაურს შუამავლის საფლავთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), ეს კი ეწინააღმდეგება კანონს, რომელიც დაადგინა ალლაჰმა მუსლიმთათვის ცხადი აიათებით, შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) არის პატივდებული ცოცხალიც და გარდაცვლილიც, და არ არის მიზანშეწონილი მორწმუნისთვის მოიქცეს მის საფლავთან ისე, რაც ეწინააღმდეგება შარიათულ ნორმებს.

G. ზოგიერთი მლოცველის ქმედება — ვედრების აღვლენა მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საფლავთან, როცა მისკენ პირით დგანან და ვედრების დროს ხელებს სწევენ — ეწინააღმდეგება ალლაჰის მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საჰაბების და მათ გზას, ვინც სიკეთეში გაჰყვა მათ. მეტიც, ეს მიეკუთვნება რელიგიაში შემოტანილ სიახლეებს (ბიდ'ა).

H. ზოგიერთი მომნახველი კი, როდესაც შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ესალმება შემდეგნაირად იქცევა: მარჯვენა ხელს მარცხენაზე დაიდებს, შემდეგ ხელებს მკერდზე ან ცოტა დაბლა დაილაგებს, როგორც მლოცველის პოზიციაში, ამ ფორმით შუამავალზე (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მისალმება დაუშვებელია; რადგან ეს არის ქედის მოხრის და ღვთისმსახურების პოზიცია, რომელიც მხოლოდ უზენაესი ალლაჰის წინაშე სრულდება, როგორც მოგვითხრო იბნ ჰაჯარმა (ალლაჰმა შეიწყალოს ის) თავის წიგნში "ფათხ ალ-ბარი", სწავლულების სიტყვებით.

I. დაუშვებელია ვინმემ შეეცადოს ალლაჰთან დაახლოებას (ღვთისმსახურება) მის ოთახზე შეხებით, ან მის ირგვლივ ტავაფის გაკეთებით, მიუღებელია შუამავალისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სირთულეების მოხსნის, ავადმყოფის განკურნების და მსგავსი რამეების თხოვნა; რადგან ამ ყველაფრის თხოვნა არ შეიძლება არავისზე, გარდა ერთადერთი ღმერთისა.

J. ქალებისთვის დაუშვებელია მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საფლავის, ისევე როგორც სხვა საფლავების მონახულება, რადგან მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) წყევლიდა ქალებს, რომლებიც ხშირად აკითხავდნენ სასაფლაოებს. ამის მიზეზია ის, რომ ასეთი მონახულებები ხშირად თან სდევს აკრძალულ ქმედებებს, როგორიცაა მოთქმა, შეუფერებელი გარეგნობა და შარიათის სხვა დარღვევები. ამის ნაცვლად, ქალებისთვის სასურველია რაც შეიძლება ხშირად წარმოთქვან სალამი და დუა მოციქულისთვის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) — იქნება ეს მეჩეთში თუ მის გარეთ. ეს ყველაფერი მიაღწევს მას, მიუხედავად იმისა, სად იმყოფება ქალი, რადგან მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «არ გადააქციოთ თქვენი სახლები საფლავებად და არ აქციოთ ჩემი საფლავი სადღესასწაულო ადგილად. დამლოცეთ, რადგან თქვენი დალოცვა ჩემამდე აღწევს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეთ». შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, ალლაჰს ჰყავს მოსიარულე ანგელოზები მიწაზე, რომლებიც გადმომცემენ ჩემი თემის სალამს».

9 მედინაში ჩამოსულისთვის სასურველია თავისი ყოფნის განმავლობაში მოინახულოს მეჩეთი ყუბა და აღასრულოს მასში ლოცვა, რადგან მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სტუმრობდა მას როგორც მხედრად, ასევე ფეხით და ლოცულობდა მასში ორ რაქაათს. საჰლ იბნ ჰუნაიფის გადმოცემით, ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: **«ვინც საკუთარ სახლში აიღებს მცირე განბანვას, შემდეგ მივა ყუბას მეჩეთში და შეასრულებს იქ ლოცვას, ის მიიღებს უმრას ტოლ ჯილდოს».**

10 მამაკაცებისთვის ბაყი'ის სასაფლაოს მონაწულება - ალ-ბაყი'ის სასაფლაო არის მედინას სასაფლაო - შაჰიდების სასაფლაოების და ჰამზას სასაფლაოს (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით) მონაწულება სუნნაა; რადგან შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ინაწულებდა მათ და ეველრებოდა მათთვის, როგორც თქვა შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «ადრე მე თქვენ აგიკრძალეთ სასაფლაოების მონაწულება, ხოლო ახლა მოინაწულეთ სასაფლაოები, რადგან ის იმქვეყნიურ ცხოვრებას გაგახსენებთ». თუ მოინაწულებს მათ წარმოთქვამს იმის მსგავს ველრებას, როგორც სხვა სასაფლაოების მონაწულებისას: "მშვიდობა თქვენ, ამ მიწის მკვიდრნო, მორწმუნეებო და მუსლიმებო, უეჭველად ჩვენც შემოგიერთდებით, ალლაჰმა შეიწყალოს ჩვენგან წასულნი პირველებიც და უკანასკნელებიც, ღმერთს ვთხოვთ, თქვენთვისაც და ჩვენთვისაც კეთილღეობას".

11 ეჭვსგარეშეა, რომ სასაფლაოების მონაწულების მიზანი არის საიქიოს გახსენება და გარდაცვლილთა სასიკეთოდ მათთვის ველრების აღვლენა და **შუამავლის სუნნაზე მიყოლა (ალლაჰის ლოცვა და** მშვიდობა მას). ეს არის შარიათით დადგენილი მონაწულების ფორმა და მიზანი.

12 ხოლო მათი მონაწულება იმ მიზნით, რომ სასაფლაოებთან შესრულდეს ვედრება, ან მათი ხათრით და ავტორიტეტით ალლაჰისგან რაიმის თხოვნა, მსგავსი მიზნით მათი მონაწულება არის საზიზღარი ბიდათი (სიახლე), რომელიც არც ალლაჰს და არც მის შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) არ დაუწესებიათ, და არც მართლმორწმუნე წინაპრებს გაუკეთებიათ. ხოლო მათზე დაბმულების თხოვნა, ან ავადმყოფობიდან განკურნების თხოვნა და მსგავსი ქმედებები არის დიდი შირქი (ისლამიდან გამყვანი ქმედება).

ძვირფასო მკითხველო, გაჩვენებთ ამ საკითხთან დაკავშირებულ ცრუ გამოგონილ ჰადისებს, რათა იცოდე ისინი, მოერიდო მათ და არ მოსტყუვდე მათით:

- პირველი: «ვინც შეასრულა ჰაჯობა და მე არ მომინახულა, ის ჩემს მიმართ თავხედურად მოიქცა».
- მეორე: «ვინც მომინახულა გარდაცვალების შემდეგ, თითქოს მან მე მომინახულა სიცოცხლეში».
- მესამე: «ვინც მომინახულა მე და მოინახულა მამაჩემი იბრაჰიმი იმავე წელს, მე მას ალლაჰისგან სამოთხის გარანტიას ვაძლევ».
- მეოთხე: «ვინც მოინახულა ჩემი საფლავი, ჩემი შუამდგომლობა მისთვის სავალდებულო გახდება».

ეს ჰადისები და სხვა მათი მსგავსი არცერთი არ არის გადმოცემული შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას). ჰაფიზ ალ-უყაილიმ თქვა: «ამ თავში ამ ჰადისებისგან არც-ერთი სანდო არ არის». ჰაფიზ იბნ ჰაჯარმა თქვა თავის წიგნში "ათ-თალხის" მას შემდეგ, რაც ამ გადმოცემების უმრავლესობა ახსენა: «გზები, რომლითაც ეს ჰადისი გადმოეცა ყველა სუსტია». ჰაჯობის ან უმრას სუნნადან არ არის შუამავლის მეჩეთის მონახულება, არც მათი შესრულების წინ და არც მათი შესრულების შემდგომ; რადგან შუამავლის მეჩეთის მონახულება ზოგადად მოსაწონი საქციელია; ჰაჯობის ან უმრას შემსრულებელი თუ მას არ მოინახულებს მათი შესრულების დროს მას ცოდვა არ ჩაეთვლება, ჰაჯობა, უმრა და შუამავლის მეჩეთის მონახულება ერთმანეთთან არავითარ კავშირში არაა, არამედ ისინი ყველა დამოუკიდებელი ღვთისმსახურებებია. ვინც შეასრულა ჰაჯობა ან უმრა ის ვალდებული არ არის, რომ მოინახულოს შუამავლის მეჩეთი, ასევე, ვინც მოინახულა შუამავლის მეჩეთი, ის არ არის ვალდებული შეასრულოს ჰაჯობა ან უმრა, ხოლო თუ მას სურს, რომ ჰაჯობა, უმრა და შუამავლის მეჩეთის მონახულება ერთი მგზავრობის დროს გააერთიანოს, ეს პრობლემას არ წარმოადგენს.

შუამავლის მეჩეთის მონახულებისას დაშვებული შეცდომები :

1. კედლებზე ხელით შეხება, შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საფლავის მონახულებისას რკინის სვეტებზე ხელით შეხება, ფანჯრებზე და სხვა ადგილებში ნაჭრების და თოკების მიბმა ბარაქის მიღების მიზნით და სხვა.

   ბარაქა მხოლოდ იმაში, რაც ალლაჰმა და მისმა შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაადგინეს, და არა სიახლეებში.

2. სხვადასხვა გამოქვაბულებში წასვლა, მაგალითად, უჰუდის მთაზე, ჰირას და საურის გამოქვაბულებში მექაში, იქ ნაჭრების შებმა, ვედრების გაკეთება იქ, რომელზეც ალლაჰს ნებართვა არ მოუცია და ამით ზედმეტი ტვირთის შექმნა.

ეს ყველაფერი არის ბიდათი (სიახლე), რომელსაც არავითარი საფუძველი არ გააჩნია წმინდა შარიათში.

3 მონაწულება ზოგიერთი იმ ადგილის, სადაც ფიქრობენ, რომ იქ არის შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დარჩენილი გადმონაშთები, მაგალითად, ადგილი სადაც აქლემი დაიმუხლა, ხათიმის ჭა, უსმანის ჭა, და ამ ადგილებიდან მიწის ალება ბარაქის მოლოდინში.

4 მკვდრებზე ვედრება სასაფლაოების მონაწულებისას, ბაყი'ას სასაფლაოს, უჰუდის შაჰიდების სასაფლაოს მონაწულებისას, იქ ფულის გადაგდება, იმის მიზნით, რომ ეს აახლოებს საფლავის მკვიდრთან და მოელიან ბარაქას.

ეს ყველაფერი არის აშკარა შეცდომა, ზოგ შემთხვევაში კი ეს არის დიდი შირქი, როგორც თქვეს სწავლულებმა, ამ ყველაფერზე მიუთითებს ალლაჰის წიგნი და მისი შუამავლის სუნნა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას); რადგან ღვთისმსახურება მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის და არ შეიძლება თაყვანისცემა სხვისი გულისთვის შესრულდეს, როგორც ვედრება, მსხვერპლშეწირვა, ფიცი და სხვა. როგორც თქვა ალლაჰმა:

(وَمَا أُمِرُوا إِلَّا لِيَعْبُدُوا اللَّهَ مُخْلِصِينَ لَهُ الدِّينَ)

{მათ არ ბრძანებიათ არაფერი იმის გარდა, რომ ალლაჰისათვის თაყვანი ეცათ გულწრფელად}

ხოლო ალლაჰმა უკეთ უწყის! ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა ჩვენ შუამავალს, მის ოჯახს და მის ყველა საჰაბას!

تعرف على الإسلام

بأكثر من 100 لغة

موسوعة القرآن الكريم
QuranEnc.com

ترجمات متقنة لمعاني القرآن الكريم بأكثر من (75) لغة

بيان الإسلام
byenah.com

مواد منتقاة للتعريف بالإسلام وتعليمه بأكثر من (120) لغة

موسوعة الأحاديث النبوية
HadeethEnc.com

ترجمات متقنة للأحاديث النبوية وشروحها بأكثر من (60) لغة

ضيوف الرحمن
hajjumrh.com

مواد منتقاة للحجاج والمعتمرين و الزوار بلغات العالم

جامع المحتوى الإسلامي باللغات
islamcontent.com

مواد إسلامية متنوعة وشاملة بأكثر من (125) لغة

موسوعات وخدمات إسلامية باللغات
s.islamenc.com

للمزيد من المواقع الإسلامية بلغات العالم

ضيوف الرحمن
hajjumrh.com

جمعية خدمة المحتوى الإسلامي باللغات